# შპს“ ნიუ მეჯიქი“-ის პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დაცვის მექანიზმები

შპს ნიუ მეჯიქი (შემდგომში - კოლეჯი) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას მთელი რიგი შიდა მექანიზმების გამოყენებით. სტუდენტების უფლებები განსაზღვრულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, კოლეჯის დებულებით, სასწავლო პროცესის მართვის დებულებით, სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების წესით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესითა და ეთიკის კოდექსით.

პროფესიული სტუდენტი კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმებისას ეცნობა თავის უფლებებს. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები სტუდენტებს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას. სტუდენტებს ასევე ეძლევათ კონკრეტული სასწავლო წლისათვის შემუშავებული „გზამკვლევი“, რომელშიც გაწერილია სტუდენტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სტუდენტები იღებენ განმარტებებს ხელშეკრულების თაობაზე, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტისა და კოლეჯის უფლება-მოვალეობები.
სტუდენტებს უფლება აქვთ ჩამოაყალიბონ სტუდენტური გაერთიანება და სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით შეიმუშაონ და წარუდგინონ კოლეჯის დირექტორს კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები კოლეჯში მმართველობის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- მიიღოს ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- პერიოდულად მოახდინოს კოლეჯში მიმდინარე პროცესების შეფასება; განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, სტუდენტის განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების, ასევე სხვა ამ უფლებასთან დაკავშირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

კოლეჯის მიზანია სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტების გამოვლენა, ამგვარ ფაქტებზე რეაგირება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის სარეკომენდაციო წინადადებების წარდგენა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სრულფასოვნად განხორციელების უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს ურთიერთობების მოწესრიგება. ნებისმიერ სტუდენტს აქვს უფლება დაუკავშირდეს დირექტორს პრობლემების მოსაგვარებლად პირადად ან ელექტრონულად.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „ეთიკის კოდექსით“, გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, სამართლიანი პროცედურის გზით.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, კოლეჯის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს კოლეჯის დირექტორი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ; დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით; მიაწოდოს კოლეჯის შესაბამის სტრუქტურას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები; მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში; მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის სამართლებრივი აქტების დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს კოლეჯის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.